საქართველოს მთავრობის
დადგენილება

N 390 2019 წლის 16 აგვისტო ქ. თბილისი

„რძის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის №150 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, „რძის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის №150 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 31/03/2016, 340170000.10.003.019215) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. **მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„**მუხლი 2.** ამ დადგენილების პირველ მუხლში აღნიშნული „რძის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის“ დაფინანსება განხორციელდეს საქართველოს

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი ა(ა)იპ – სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოსთვის 2019 წლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში (პროგრამული კოდებიდან: 31 06 04 02 და 31 06 05).“.

2. დადგენილებით დამტკიცებული „რძის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის“:

ა) პირველი მუხლის:

ა.ა) მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ფარგლებში, თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ნედლი რძის მიმღებ-გადამამუშავებელი საწარმოების შექმნა;“;

ა.ბ) მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მანქანა-დანადგარების თანადაფინანსება და ტექნიკური მხარდაჭერა;“;

ა.გ) მე-3 პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) უვნებელი, ხარისხიანი რძისა და რძის ნაწარმის წარმოების ხელშეწყობა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად;

დ) დაბალპროდუქტიული მსხვილფეხა საქონლის ჯიშობრივი გაუმჯობესებისა და პროდუქტიულობის ამაღლების მიზნით, ხელოვნური განაყოფიერებისათვის საჭირო აღჭურვილობის თანადაფინანსება.“;

ბ) მე-2 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. პროგრამის განმახორციელებელია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი ა(ა)იპ – სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო (შემდგომში – სააგენტო).

3. პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობენ:

ა) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო (შემდგომში – სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო), რომელიც უზრუნველყოფს ამ პროგრამის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებას;

ბ) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია, რომელიც უზრუნველყოფს ამ პროგრამის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებას.“;

გ) მე-3 მუხლის:

გ.ა) „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) **პოტენციური ბენეფიციარი** – სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, რომელიც პროგრამაში მონაწილეობის მიზნით წარადგენს განაცხადს;

გ) **ბენეფიციარი** – სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, რომელსაც სააგენტოსთან გაფორმებული აქვს თანადაფინანსების ხელშეკრულება;“;

გ.ბ) „დ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ზ.ზ) „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) **მანქანა-დანადგარები** – ამ პროგრამის ფარგლებში შესასყიდი ნედლი რძის შეკრების, გაცივების, ყველის ხარშვის წარმოებისა და პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერებისათვის საჭირო შესაბამისი მოწყობილობები, ლაბორატორიული აღჭურვილობა/ხელსაწყოები და დანადგარები;“;

დ) მე-4 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) სააგენტოს თანადაფინანსება;“;

ე) მე-5 – მე- 7 მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 5. სააგენტოს თანადაფინანსება

სააგენტოს თანადაფინანსების ფარგლებში:

ა) მაღალმთიან დასახლებაში პროგრამის განმახორციელებელ კოოპერატივებს შეუძლიათ, მიიღონ მანქანა-დანადგარების შესასყიდად 95%-იანი თანადაფინანსება, არა უმეტეს 150,000 ლარისა, იმ შემთხვევაში, თუ ამ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის ან/და მისი მეპაიე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის ან/და მეპაიე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მეპაიეთა საკუთრებაში არსებული ფურების რაოდენობა ჯამურად აღემატება 50 სულს;

ბ) პროგრამის განმახორციელებელ კოოპერატივებს შეუძლიათ, მიიღონ მანქანა-დანადგარების შესასყიდად 90%-იანი თანადაფინანსება, არა უმეტეს 150,000 ლარისა, იმ შემთხვევაში, თუ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის ან/და მისი მეპაიე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის ან/და მათ მეპაიეთა საკუთრებაში არსებული ფურების/ცხვრების (ნერბი)/თხების (ნეზვი) რაოდენობა ჯამურად შეადგენს, შესაბამისად, არანაკლებ 150/1000/200 სულს.

მუხლი 6. ტექნიკური დახმარება

5

1. ბენეფიციარი, პროგრამის ფარგლებში, მიიღებს ტექნიკურ დახმარებას.

2. ბენეფიციარი ტრენინგის სახით მიიღებს ტექნიკურ დახმარებას შემდეგი მიმართულებებით:

ა) ნედლი რძის შემკრები პუნქტის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ტექნიკური და მეთოდოლოგიური საკითხები;

ბ) ნედლი რძის მიღებასა და გადამუშავებასთან დაკავშირებული სპეციფიკური მოთხოვნების დანერგვა;

გ) ადგილზე ნედლი რძის ლაბორატორიული გამოკვლევისათვის შესაბამისი მეთოდოლოგიის დანერგვა;

დ) ხელოვნური განაყოფიერებისა და აღჭურვილობის გამოყენებასთან დაკავშირებული სწავლება;

ე) საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობა და მარკეტინგული მხარდაჭერა.

მუხლი 7. პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად დადგენილი პირობები

1. პროგრამაში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ იმ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს, რომლებიც აკმაყოფილებენ შემდეგ პირობებს:

ა) „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მინიჭებული აქვთ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსი;

ბ) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს ან/და მის მეპაიე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს ან/და მათ მეპაიეებს საკუთრებაში ჯამურად ჰყავთ ამ პროგრამის მე-5 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ფურების, ცხვრების (ნერბი) ან თხების (ნეზვი) რაოდენობები, რომელიც იდენტიფიცირებულია სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ;

გ) გააჩნიათ თანამონაწილეობის თანხა (არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი – ცნობა ბანკიდან ან/და დამტკიცებული სესხის შესახებ ცნობა

ან/და დაფინანსების ალტერნატიული წყაროს დამადასტურებელი დოკუმენტი);

დ) არ გააჩნიათ საგადასახადო დავალიანება;

ე) საკუთრებაში გააჩნიათ სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი ან/და შენობა-ნაგებობა, სადაც სურს ნედლი რძის შემკრებ-გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა, რომელიც სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული ცნობის შესაბამისად აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს;

ვ) რეგისტრირებულია „ფერმათა/ფერმერთა რეგისტრაციის პროექტის“ ფარგლებში წარმოებულ რეესტრში.

2. ბენეფიციარი ვალდებულია, საკუთარ ან/და თავისი მეპაიე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის ან/და მათი მეპაიეების საკუთრებაში არსებული ფურების, ცხვრების (ნერბი) ან თხების (ნეზვი) რაოდენობა დაადასტუროს სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული ცნობით.

3. ბენეფიციარი ვალდებულია, რძის შემკრებ-გადამამუშავებელი საწარმოსათვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობის, მანქანა-დანადგარებისა და დაგეგმილი საწარმოებელი პროდუქციის ურთიერთშესაბამისობა დაადასტუროს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ – სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მიერ გაცემული ცნობით.

4. იმ შემთხვევაში, თუ ერთი პირი არის 2 (ორი) ან მეტი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მეპაიე, დაუშვებელია, მის საკუთრებაში არსებული ერთი და იგივე საქონელი ფიქსირდებოდეს რამდენიმე პოტენციური ბენეფიციარის განაცხადში.“;

ვ) მე-8 და მე-9 მუხლები ამოღებულ იქნეს;

ზ) მე-10 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 10. ბენეფიციარის ვალდებულებები

1. ბენეფიციარი ვალდებულია, განახორციელოს შენობა-ნაგებობის აშენება/მოწყობა/რეკონსტრუქცია, რომელშიც განთავსდება სააგენტოს დაფინანსებით შესყიდული მანქანა-დანადგარები.

2. ბენეფიციარი ვალდებულია, ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) წლის განმავლობაში:

ა) არ დაუშვას საწარმოს შენობა-ნაგებობისა და მანქანა-დანადგარების გასხვისება, სააგენტოს წინასწარი ნებართვის გარეშე. სააგენტოს წინასწარი ნებართვის არსებობის შემთხვევაში, საწარმოს შენობა-ნაგებობისა და მანქანა-დანადგარების გასხვისება შესაძლებელია მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივზე ამ პროგრამით გათვალისწინებული პირობებით გასხვისების შემთხვევაში;

ბ) არ დაუშვას პროგრამით დადგენილი პირუტყვისა და მეპაიეთა რაოდენობის შემცირება;

გ) შეინარჩუნოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსი;

დ) მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის (ფურების) შემთხვევაში, უზრუნველყოს ყოველწლიურად არანაკლებ 140 ტონა ნედლი (45 ტონა მაღალმთიან დასახლებაში) რძის მიღება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აღნიშნული შეუძლებელია ფორსმაჟორული გარემოების გამო;

ე) მიიღოს აღიარება სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტოსგან.

3. სააგენტო დატვირთავს პროგრამის ფარგლებში შექმნილ/შეძენილ ძირითად საშუალებებს (მათ შორის, შენობა-ნაგებობებს) იპოთეკით/გირავნობით სააგენტოს სასარგებლოდ, ბენეფიციარის ვალდებულებების სრულად შესრულებამდე, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევების გარდა. ამავდროულად, დასაშვებია, სააგენტოს იპოთეკა/გირავნობა იყოს რიგით მეორე მხოლოდ იმ

შემთხვევაში, თუ პირველი რიგის იპოთეკარია/მოგირავნეა სესხის გამცემი ბანკი.";

თ) მე-10 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 10[1] მუხლი:

„მუხლი 10[1]. თანადაფინანსების გაცემის პროცედურა

განაცხადის მიღების, განხილვის, თანადაფინანსების დამტკიცებისა და გაცემის დეტალურ პროცედურას შეიმუშავებს სააგენტო.";

ი) მე-11 და მე-12 მუხლები ამოღებულ იქნეს;

კ) მე-13 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 13. მონიტორინგი

1. პროგრამის მონიტორინგს ახორციელებს სააგენტო, მის მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად.

2. ბენეფიციარმა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნობრიობის შესრულების დასადასტურებლად, უნდა წარადგინოს სსიპ – ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ წარმოებულ რეესტრში არსებული პირის საექსპერტო/აუდიტორული დასკვნა საინვესტიციო ღირებულების მიზნობრივად ხარჯვასა და მიზნობრიობის შესრულებასთან დაკავშირებით, რომელშიც აღწერილი უნდა იყოს დასკვნის მომზადების მეთოდოლოგია და თან უნდა ახლდეს ფულადი სახსრების ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ასლ(ებ)ი (საგადახდო დავალება ან/და სალაროს ჩეკი).";

ლ) დანართები: №1 – №6 ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალმა სსიპ – სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტომ უზრუნველყოს, ამ დადგენილების ამოქმედებამდე, „რძის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის №150 დადგენილებით დამტკიცებული პროგრამის მოქმედი რედაქციით გათვალისწინებული ღონისძიებების/ვალდებულებების შესრულება 2018 წელს პროგრამაში ჩართულ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებთან მიმართებით.

მუხლი 3. ამ დადგენილებით გათვალისწინებული პირობები შესაძლებელია, გავრცელდეს პროგრამაში ჩართულ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებზე, მათი მიმართვისა და სააგენტოს მხრიდან თანხმობის შემთხვევაში.

მუხლი 4. სააგენტოს საკუთრებაში გადაეცეს თანდართული დანართით გათვალისწინებული ქონება.

მუხლი 5. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**

დანართი

N	დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	ღირებულება	შენიშვნა
	რძის გადამამუშავებელი აღჭურვილობა				
1	გამაცივებელი რეზერვუარი (1000ლ)	1	14000	14000	
2	გამაცივებელი რეზერვუარი (500 ლ)	1	10000	10000	
3	ყველის სახარში აბაზანა (500 ლ)	1	14500	14500	
4	რძის ტუმბო	2	1850	3700	
5	ძაბრი	1	2000	2000	
6	ელექტროსასწორი	1	6500	6500	
7	წნეხურიკა	1	9000	9000	
8	წყლის რეზერვუარი 1500 ლ	1	400.125	400.125	
9	სტაციონალური დიუარის ჭურჭელი 20 კგ აზოტის შესანახად	1	1468	1468	
10	მობილური დიუარის ჭურჭელი 11 კგ	1	1860	1860	
11	ახურების განმსაზღვრელი დანადგარი დეტექტორი	1	1428	1428	
12	ხელოვნური განაყოფიერების ტექნიკოსის წინსაფარი	1	1840	1840	
13	სპეცტანსაცმელი	1	1370	1370	
14	ნიტროგენის დონის მზომი სახაზავი თხევადი აზოტის დონის საზომი ხელსაწყო	1	64	64	
15	ცოცხალი მასის განმსაზღვრელი ლენტა	1	18.7	18.7	
16	ხელოვნური განაყოფიერების ხელსაწყოები, იარაღების ნაკრები	1	337	337	
17	რძის ანალიზატორი	1	2000	2000	